



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

**მინერალური რესურსების ეროვნული
სააგენტო**



KA020185121988722

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ: 0 32 2 95 00 30

ბრძანება № 1455/ს

30 / დეკემბერი / 2022 წ.

ფ/პ ავთანდილ ბაღდავაძეზე (პ/ნ 60001018483) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N 1002216 ლიცენზიის გაუქმების თაობაზე

ფ/პ ავთანდილ ბაღდავაძეზე (პ/ნ 60001018483) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 19 დეკემბრის N406/ს ბრძანების საფუძველზე, გაცემულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N1002216 ლიცენზია (25 წლის ვადით), ქალაქ ქუთაისის ტერიტორიაზე, დავით აღმაშენებლის გამზირი N88-ში, მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო დანიშნულებით) მოპოვების მიზნით.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 22 დეკემბრის N2612 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, დასტურდება ფ/პ ავთანდილ ბაღდავაძის გარდაცვალების ფაქტი.

2021 წელს, სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადის დარღვევის გამო, ფ/პ ავთანდილ ბაღდავაძის მიმართ შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი. სასამართლოს უპირი მოსმენის სხდომაზე, გამოირკვა რომ ლიცენზიის მფლობელი - ფ/პ ავთანდილ ბაღდავაძე არის გარდაცვლილი. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 31 აგვისტოს დადგენილების (საქმის N4/649-22) საფუძველზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება ფ/პ ავთანდილ ბაღდავაძის მიმართ.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-3 მუხლის „ა.ა“ პუნქტის საფუძველზე, გათვალისწინებულია სარგებლობის ლიცენზიის მემკვიდრეობით გადაცემის შესაძლებლობა. სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარებულ იქნა ადმინისტრაციული წარმოება, ფ/პ ავთანდილ ბაღდავაძის მემკვიდრის დადგენის მიზნით.

სააგენტომ 2022 წლის 16 ნოემბრის N22/8885 წერილით მიმართა საქართველოს ნოტარიუსთა პალატას და ითხოვა ინფორმაცია, ფ/პ ავთანდილ ბაღდავაძის მემკვიდრის შესახებ.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის 2022 წლის 24 ნოემბრის N16/13661 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ რეგისტრირებულია ჩანაწერი 2021 წლის 13 აგვისტოს გარდაცვლილი ავთანდილ ბაღდავაძის (პირადი N60001018483) სამემკვიდრეო საქმის წარმოების განხორციელების თაობაზე, კერძოდ, 2022 წლის 28 მარტს გაცემულია სამკვიდრო მოწმობა.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულმა სააგენტომ 2022 წლის 29 ნოემბრის N22/9194 წერილით მიმართა უფლებამოსილ ნოტარიუსს, რომელმაც უზრუნველყო სამკვიდრო მოწმობის გაცემა და ითხოვა ინფორმაცია ფ/პ ავთანდილ ბაღდავაძის მემკვიდრის შესახებ.

2022 წლის 22 დეკემბრის N234/4 წერილით, ნოტარიუსმა დაადასტურა 2022 წლის 28 მარტს გაცემული სამკვიდრო მოწმობის შესახებ ინფორმაცია, თუმცა სააგენტოს სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე უარი ეთქვა „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის საფუძველზე.

ვინაიდან, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს არ გააჩნია ინფორმაცია გარდაცვლილი ფ/პ ავთანდილ ბაღდავაძის მემკვიდრის შესახებ, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას განახორციელოს ლიცენზიის მემკვიდრეობით გადაცემა. ამასთან, ლიცენზიის ამგვარ მოცემულობაში არსებობის პირობებში ვერ იქნება უზრუნველყოფილი წიაღისეულით რაციონალური სარგებლობა. სააგენტო ვერ განახორციელებს სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლს.


შესაბამისად, ცალსახაა, რომ სახეზეა ლიცენზიის გაუქმების გადაწყვეტილების ფაქტობრივი საფუძვლები.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-6 პუნქტის, „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების, 7⁵ მუხლის 1² პუნქტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 04 იანვრის N1-1/2 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის „ვ“ პუნქტის, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 22 დეკემბრის N2612 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 19 დეკემბრის N406/ს;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს (გაუქმდეს) ფ/პ ავთანდილ ბაღდავაძეზე (პ/ნ 60001018483) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N1002216 ლიცენზია, ქალაქ ქუთაისის ტერიტორიაზე, დავით აღმაშენებლის გამზირი N88-ში, მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო დანიშნულებით) მოპოვების მიზნით;
3. დაევალოს სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტს ლიცენზიის გაუქმების შესახებ მონაცემები დადგენილი წესით შეიტანოს უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში;
4. დაევალოს ადმინისტრაციულ სამსახურს წინამდებარე ბრძანების სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნება;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2).

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელექტრონულად 

ანდრო ასლანიშვილი